













### ტურინის კვართის კიდევ ერთი ანალიზი

შევიცარელება ექსპერტებმა ტურინის კვართის გამოკვლევა ჩაატარეს. ვატიკანის წარმომადგენლებმა ამ ფაქტის კომენტარებაზე უარი განაცხადეს. ექსპერტმა, ფლური-ლემბერგმა ჟურნალისტებს ის კი დაუდასტურა, რომ გამოკვლევა ჩატარდა, მაგრამ ნებისმიერი დეტალის გახმაურებაზე უარი თქვა, სანამ ფოტო და სხვა ფაქტობრივი მასალა მზად არ იქნება.

დავა ქრისტეს კვართის გარშემო არაერთხელ გამართულა. ბოლოს იგი 1988 წელს შეისწავლეს. ფლური-ლემბერგი შედიოდა იმ ექსპერტთა ჯგუფში, რომელიც ქსოვილის ანალიზს რადიონახშირბადის მეშვეობით აწარმოებდა. მაშინ ექსპერტებმა განაცხადეს, რომ ქსოვილი, რომელშიც თითქოს ქრისტე იყო გახვეული, შუა საუკუნეებშია დამზადებული. თავის დროზე საექსპერტო ჯგუფის დასკვნა მთელმა რიგმა მეცნიერებმა გააპროტესტეს.

უკანასკნელი გამოკვლევის შედეგები კი სექტემბერში, სპეციალურად გამართულ პრეს-კონფერენციაზე გახდება ცნობილი.

### ბენ ლადენი ახალი რომანის ერთ-ერთი გმირია

უსამა ბენ ლადენი მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟად იქცა. ინგლისელმა მწერალმა ჯაილს ფოდენმა დაწერა რომანი "ზანზიბარი", რომლის სიუჟეტიც ეფუძნება 1998 წელს კენიასა და ტანზანიაში მომხდარ მოვლენებს, როდესაც ტერორისტები ამერიკის საელჩოს სიახლოვეს ერთმანეთზე მიყოლებით აფეთქებდნენ ნაღმებს. ახალი რომანი 2 სექტემბერს იხილავს დღის სინათლეს.

1998 წელს ხსენებულ ტერორისტულ აქტებში ბრალდებული ოთხი ადამიანი "ალ-ყაიდას" წევრი იყო. მათ მუდმივი პატიმრობა მიუსაჯეს. ბენ ლადენი რომანის მთავარი გმირი არ არის, ეს პერსონაჟი ნაწარმოებში მხოლოდ რამდენჯერმე არის ნახსენები. მწერალმა ბენ ლადენის სახე იმ მასალის გამოყენებით შექმნა, რომელიც დასავლური მასმედიისთვის იყო ხელმისაწვდომი.

ჯაილს ფოდენის ახალი რომანის გამოსვლას, რა თქმა უნდა, ყველა ამერიკელი ერთნაირად ვერ აღიქვამს და ეს მწერალს არც უკვირს. "11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ ბევრი ადამიანი სერიოზულად დაფიქრდა მომავალზე, მათ შორის - მეც, და აი, ამ წიგნში ჩემი ნაფიქრია წარმოდგენილი", - ამბობს ავტორი. თუმცა, რომანი უფრო ადრე შეიქმნა. სააგენტო "ბი-ბი-სის" ცნობით, ნაწარმოების ეგზემპლარები სწორედ 11 სექტემბრის ტერაქტამდე დაეგზავნა რამდენიმე რედაქციას.

რაც შეეხება თავად რომანის ავტორს, ის "გარდიანის" ჟურნალისტიკა და ისტორიულ თემებზე ადრეც მუშაობდა. 1998 წელს მას ფოდენს "უაითბრედის" პრესტიჟული პრემია გადასცეს რომანისათვის - "შოტლანდიის უკანასკნელი მეფე".

### ესპანეთში უნიგნარობას ავტომატებით შეაზღოვებენ

სერვანტესის და ლორკას სამშობლო ევროპაში ყველაზე უნიგნურ და არამკითხველ ქვეყანად აღიარეს. ქვეყნის ხელისუფლებამ ამ ფაქტის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადა. მათი თქმით, ესპანელების უმრავლესობა იმდენად ცოტას კითხულობს, რომ წიგნების მალაზიაში შესვლისაც კი ეშინიათ. წიგნოფობიის დასაძლევად ესპანელებისათვის სპეციალური ავტომატები გამოიგონეს.

საგანგებოდ შემუშავებული პროგრამის მიხედვით, მოსახლეობას წიგნების სიყვარულს თანამედროვე ლიტერატურით დაანეჭებენ. ავტომატებში იქნება ჯონ გრიშმის, ვარგასა ლიოსას და ხოსე სარამაგუს რომანები.

ესპანეთში წიგნების ავტომატი ისეთივე ჩვეულებრივი რამ იქნება, როგორცაა სიგარეტების, გამაგრილებელი სასმელებისა და ჩიპსების ჯიხურები.

წიგნებს სპეციალურ პაკეტებში შეფუთავენ, რომ ავტომატიდან ჩამოვარდინას არ დაზიანდეს. ბესტსელერის მოპოვება ნებისმიერ მსურველს 4,80 ევროიან ლილაზე თითის დაჭერით შეეძლება. ავტომატში წიგნების ასორტიმენტი ყოველ ორ კვირაში ერთხელ შეიცვლება.

ბარსელონაში რამოდენიმე ადგილას უკვე დადგეს რვა საცდელი ავტომატი და თუკი ესპანელები ლიტერატურისადმი ინტერესს გამოიჩინენ, წიგნების ავტომატების ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით გავრცელდება.



საქართველოში ქავერი

# მ-07

კატრინ ზეტა ჯონსი - ახალი „ჯიმს ბონდი“?!

ერთი წლის წინ, როდესაც ახალ ფილმში ჯიმს ბონდის როლისთვის მსახიობის შესარჩევი გადარჩევის მიმდინარეობდა, ხმა გაგვრდა, რომ სუპერგმერთის როლს კატრინ ზეტა ჯონსი შეასრულებდა. ჭორების გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ სწორედ ამ პერიოდში იხილა მყარებელმა ფილმი "ხაფანგი", სადაც კატრინ ზეტა ჯონსი შინ კონკრეტულად ერთად თამაშობდა.

მაგრამ ეს სიმართლე არ გამოდგა. ჯიმს ბონდის როლს კვლავ პირს ბროსნანი ასრულებს, და ალბათ, კიდევ დიდხანს თამაშებს. სამაგიეროდ, ზეტა ჯონსი სულ ახლახან ახალი სათავადასავლო ფილმის პროდუსერად მოგვევლინა, რომელშიც მთავარ როლს თვითონ შეასრულებს.

თუ გავიხსენებთ "ნიკიტას" არახალ წარმატებას, არ არის გამორიცხული, რომ კატრინის მიერ შესრულებულმა როლმა დიდი პოპულარობა მოიპოვოს. თავად პროდუსერს იმედი აქვს, რომ ფილმი რეიტინგის პირველ პოზიციებს დაიკავებს და შესაძლოა, სერიალადაც იქცეს.

ფილმის სიუჟეტი ასეთია: ბრიტანეთის დაზვერვის თანამშრომელს, გრის ფინიტს შეიარაღებული ბანდა დაესხმება თავს, მას სასტიკად სცემენ. თითქმის სიკვდილის პირას მისულ ქალს ექიმები ძლივს გადაარჩენენ და რამდენიმე პლასტიკურ ოპერაციასაც გაუკეთებენ. ამის შემდეგ გრისი სუპერგმერთის როლში მოვევლინება მყარებელს.



კატრინ ზეტა ჯონსი REUTERS

ნიკოლას კეიჯი და ლიზა-მარია პრესლი დაქორწინდნენ

ოსკარის პრემიის ლაურეატი, მსახიობი ნიკოლას კეიჯი და როკ-ენ-როლის მეფის ქალიშვილი, ლიზა-მარია პრესლი დაქორწინდნენ. სადღესასწაულო ცერემონიალი შაბათს სალამოს, ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე, მეგობრებისა და ნათესავების გარემოცვაში გაიმართა.

34 წლის კეიჯისათვის ეს მეორე ქორწინებაა. პირველ ცოლთან, მსახიობ პატრიცია არკეტთან, იგი ორი წლის წინ განქორწინდა. 38 წლის პრესლი კი მესამედ თხოვდება. წარსულში მისი ქმრები იყვნენ მუსიკოსი დენი კოხი და პოპ-მუსიკელები მაიკლ ჯექსონი. მეგობრებსა და ნათესავებს შორის პატარძლის დედა - პრისცილა პრესლი და შვილები - 13 წლის დანიელი და 10 წლის ბენჯამინი მზიარულობდნენ. მამას 12 წლის უესტონმაც მიულოცა გაბედნიერება.

კეიჯის ნკეილი ლოს-ანჯელესში დაბრუნდა, სადაც კეიჯამ თავის ახალ ფილმზე გააგრძელა მუშაობა.



პრესლი და კეიჯი REUTERS

იაკონური კროსკორდი

Table with 11 columns and 25 rows of numbers, likely a lottery or game result table.

TV პროგრამა 15 აგვისტო

TV schedule for August 15th, listing programs like 'რუსთავი - 2', 'პირველი არხი', 'მეორე არხი', 'მერიკა', 'იბერია', 'კავკასია', and 'PTP' with their respective times.

Advertising section for 'სალბინო' (Salbinol) featuring a grid of numbers and promotional text.

Large advertisement for 'სალბინო' (Salbinol) with the headline 'ნაგალი სალბინო' and detailed text about the product and its benefits.